პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 165 (19307) ხუთშაბათი, 18 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

ბიბლიოთეკა

ვალდებულება კანონად აღვიძვამ

დანაპირებს შევასრულებენ

120 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია-ისათვის

როდესაც გულდასმით ავწონ-დაწონეთ და გავაანალიზეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ, მომდინარე წლის დავალება, ისევე როგორც მეთორმეტე ხუთწლედის გეგმა, 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ. ეს იქნება ჩვენი წვლილი სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

წლის პირველი ნახევრის სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლები თამამი განსაცდელის საფუძველს იძლევა. განვლილ ექვს თვეში მილიონ 94 ათასი მანეთის ნაცვლად მილიონ 217 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია გამოვუშვიათ, რეალიზებულია გეგმასთან შედარებით 62 ათასი მანეთით მეტი სამრეწველო პროდუქცია.

უპირველესად, ეს ეხება ჩიკობავა-ტონისა და ბეტონის ნაკეთობათა კონსტრუქციებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმის გადწყვეტილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ მშენებლთა სამოქმედო პროგრამა გახდა. მაღე ქარხანაში წარმოების შეუჩერებლად ფართო მასშტაბის სარეკონსტრუქციო სამუშაოები განხორციელდება. მთლიანად განახლდება საყალიბე, საარმატურო, ბეტონის გამომშვები უბნები და საამქროები, აშენდება დიდი სასაწყობო მეურნეობა.

ახალი ტექნიკითა და ტექნოლოგიური ხაზებით დამონტაჟებული საწარმო წლიურად გამოუშვებს 35 ათას კუბურ მეტრ რკინაბეტონის კონსტრუქციებს — ერთ-ნახევარჯერ მეტს, ვიდრე ამჟამად.

ზ. მაისურაძე,
საავტომობილო გზების სამინისტროს ჯორის რკინაბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის დირექტორი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სასოფლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ეფექტურობა ჩვენი სახალხო მეურნეობის მთავარი დასაყრდენი, ინტენსიფიკაციის რეალურმა სოფლის ეკონომიკის გადაყვანის ოპერდათვალი. მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება მეთორმეტე ხუთწლედში და შემდგომ, როცა მინამოქმედებისა და მეცნიერულობის გაძლიერის არსებული მეთოდების გამოყენებისა ნიადაგის ნაყოფიერებისა და პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების ყველა ჩვენი პრაქტიკული შესაძლებლობა ითქმის ამოწურული იქნება.

ამდენად, საკოგრამო მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ თათბირზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მითითებას, რომ მეცნიერების ამოცანებს უნდა ეკუთვნოდეთ დროის მოთხოვნებსა — საზოგადოებრივი წარმოების საჭიროებისაკენ მისი, ხოლო მეცნიერებისაკენ წარმოების გადამჭრელი შემობრუნების მოთხოვნების პრინციპი. ამ პოზიციებიდან უნდა განანალიზდეს და განმტკიცდეს მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების დამაკავშირებელი ჯაჭვის ყველა რგოლი.

ის, რითაც ჩვენ შეგვეძლო დაკმაყოფილებულიყავით გუშინ, უკვე აშკარად საკმარისი ალარ არის ხვალისათვის და დღისთვისაც კი. მეცნიერთა კვლევის შედეგები, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებანი ბევრად უნდა უსწრებდნენ პრაქტიკას; სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, ისე ბარამწვეულად უნდა გასწიონ მნიშვნელოვან გამოკვლევათა როგორც მიღებულმა, ისე ხარისხობრივი დონე.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეცნიერთა და პრაქტიკოსთა შეჯადნების კონსენტრაციისათვის, წარმოებასთან მეცნიერების დაახლოებისათვის, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში საშეცნიერო კვლევის შედეგების დაჩქარებული დანერგვისათვის რეაბილიკის კათედრების მუშაობის კოორდინაციი. ამ პრობლემის გადაჭრის ინტერესები, აგრეთვე წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ახალი პრინციპები ბევრი არსებული ნორმის, ინსტრუქციის შეცვლას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით საქმეს სარგებლობა მოუტანს ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანია წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის ისეთი სისტემის შექმნა, როცა მეცნიერები და პრაქტიკოსები უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებული სახალხო სიახლეთა დანერგვით.

საკმაოდ სოლიდური ეკონომიკური ეფექტი ობიექტურ მაჩვენებლად მოაკვეს იმას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროფილის ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებას დაუქვემდებარდა. ამ მხრივ თავისებურად საინტერესოა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის და პრომაგანდის სამმართველო, სოლო აგროსამრეწველო გაერთიანებებში შესაბამისი განყოფილებების შექმნა. უდავოდ, ეს ღონისძიება .მნიშვნელოვანწილად უნდობს ხელს იმას, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა წარმოების ყველა სფეროში შეაღწიოს, მოიცვას, როგორც გაბედული მეცნიერული აღმოჩენა, ისე ასობით და ათასობით ტექნოლოგიის, ახალი მექანიზმის, ინსტრუმენტის სრულყოფა — ყველაფერი, რაც იცვლა და აიოლებს ადამიანის შრომას, გახდის მას უფრო ნაყოფიერს, მიზდრისა და ფერმის მუშაკებს დაეხმარება შრომის სრულყოფილი ხერხების მოძიებაში, გაათავისუფლებ პროდუქტების ხარისხი.

ერთი სიტყვით, დადგა დრო, როცა მეცნიერებს უფრო მეტად უნდა მოეკითხოთ სოფლის მეურნეობაში კარდინალურ ცვლილებათა განხორციელებისათვის. ისინი უფრო ახლოს უნდა იყვნენ ამ ან იმ რაიონისათვის საქმიანობრივი სპეციფიკურ პრობლემებს, რეკომენდაციების შემუშავების დროს ჯეროვნად ითვალისწინებდნენ რეგიონის კლიმატურ, გეოგრაფიულ და სხვა პირობებს.

წარმოებასთან კავშირის განმტკიცების, სპეციალისტებთან ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითს იძლევიან მიწათმოქმედების, ნიადაგმცოდნეობის, მეცნარეთა დაცვის, აგროქიმიისა და მელიორაციის, აგრეთვე სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებმაც გარდაბნის რაიონის მეურნეობებთან პარტნიორობის პრინციპის — ხელშეკრულებების საუკეთესოზე უფრო მნიშვნელოვანი გასაღების თავიანთი რილი და ეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების მინდვრად და ფერმებში დანერგვისათვის, მაღალი საბოლოო სამეურნეო შედეგების მიღწევისათვის.

გურჯაანის რაიონის ზუმლაყის კოლმეურნეობის ვენახებში ერთ-ერთი შრომატევადი ოპერაცია — ჯერმიფიდების შებანა ხორცილდება საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ შექმნილი მექანიზმით. ამავე ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ახალი სამაგ აგრეგატის წყალობით მწკრივთშორისებში ნიადაგის კულტივაციის დროს მოლიანად გამორიცხულია ხელის შრომა; ჩანის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში გამოყვანილი ახალი, ხარისხოვანი ფოთლის მომცემი კლონი „კოლხეთი“ გაშენებულია 10 ათას ჰექტარ ჩაის პლანტაციებზე; ხოხის, სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიას, გარდაბნის, მეზეთის, კახეთის და სხვა რაიონებში დიდ ფართობებზე დათესილია მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელეკციონერებმა მიერ შექმნილი ხიმინდის ახალი მარტივი პიბრიდი „ენგური“, რომელიც ადგილობრივ დარაიონებულ ჯიშებთან შედარებით 10-12 ცენტნერით მეტ მოსავალს იძლევა.

ამგვარი მაგალითები ნამოდაა სარდაფქანი ფოსტაში, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი პარტიორული ურთიერთობის გასაფართოებლად, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ახალი საორგანიზაციო ფორმების მისაგებად. სულ მეტ აქტუალობას იძენს აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში და რაიონულ გაერთიანებებში შემავალი პარტნიორების ეკონომიური, სამართლებრივი და სხვა ურთიერთობის სრულყოფისათვის ოეორიული და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

წარმოება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკებს ხელიოზულ პრეტენზიებს უყენებს იმის გამო, რომ ისინი, მეორე გამონაკლისის გარდა, მოწყვეტილი არიან წარმოებას, ბევრად არ ირყვნიან იმისათვის, რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა მაჩვენებლებმა რაც შეიძლება მალე მოგვეს საგრძნობი პრაქტიკული შედეგი; არ იმენენ ჯეროვან დაინტერესებას, რომ ეფექტურად ნიამლევები ხელეკციისა და მეთესლეობის, მაღალპროდუქტიული ჯიშების პირუტყვის მოშენების, სანაშენე მუშაობის ეუჯრედსების, მეცნარეთა დაცვის ახალი მეთოდებისა და პრეპარატების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ხაკვების წარმოების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო ინფაქტების მეწარმეობის თანამედროვე პროგრამების შედგენის, მიწათმოქმედების ეფექტიანი ტექნიკის შექმნის დარგში.

ეს პრობლემები, საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის ამოცანები ახლა, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საშეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებს, მათ პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებმაც კოლექტივებში უნდა შექმნან დაკმაყოფილი ხასიათი ინფორმაციული ბაზა, ეფექტიანი ინფორმაციული სისტემა, ეფექტიანი ინფორმაციული ბაზა, ეფექტიანი ინფორმაციული სისტემა, ეფექტიანი ინფორმაციული ბაზა, ეფექტიანი ინფორმაციული ბაზა, ეფექტიანი ინფორმაციული ბაზ

პარტიული ცხოვრება: ისმენენ კომუნისტის ანბარიშს, აქტიურებენ დაბანსილთებას

უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული მუშაობის ახალმა ფორმამ — კომუნისტთა ანგარიშების მოსმენამ და დახასიათებების დამტკიცებამ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. თანდათან იგი ივსება, მდიდრდება ახალ-ახალი ნიუანსებით და სულ უფრო დახვეწილ და დასრულებულ სახე იძენს.

რა დასკვნები გამოაქვს კომუნისტს ღია პარტიულ კრებაზე მისი საჭარო დახასიათებიდან, როგორ რეაგირებს ქებასა თუ შენიშვნებზე, კონკრეტულად როგორ ეხმარება მას შემდგომ მუშაობაში კრების გაკვეთილები — აი საკითხები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციას არ უნდა გამორჩეს.

ნოდარ სანდუხაძე უკვე ოცდაათი წელია მუშაობს ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ჯერ რიგით ინჟინერ-კონსტრუქტორი იყო, მთავარ საკონსტრუქტორო განყოფილებასთან არსებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი, მერე ბიუროს განყოფილების უფროსი. ამჟამად მისაბმელთა განყოფილებას ხელმძღვანელობს. "ბორშან" შემოდგომაზე მისი ანგარიში მოისმინეს პარტიულ კრებაზე. მის მრავალ დადებით თვისებებზე ილაპარაკეს გამოსულებმა. აღნიშნეს, მაგალითად, რომ მან არაერთი ეკონომიური სპეციალისტი მოამზადა, რომელთაგან დღეს ბევრი ხელმძღვანელ სამუშაოზეა.

აღსანიშნავია ნ. სანდუხაძის როლი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის კონსტრუქციის შემუშავებაში. სწორედ მისი და მისი უშუალო თანამოსაქმეების ძალისხმევით გახდა შესაძლებელი ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომანქანის სერიული წარმოება.

სხვაც ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა მაშინ მისი მისამართით, მაგრამ მთავარი მაინც ის კრიტიკული შენიშვნები და წინადადებანი გახლდათ, რომლებიც გულწრფელად, მეგობრულად უთხრეს კომუნისტებმა კომუნისტს. თქვეს, მაგალითად, რომ იგი ზოგჯერ თავს ვერ აბამს საქმეს, ეს განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება, როდესაც განყოფილებას მოკლე ვადაში დიდი სამუშაოები აქვს შესასრულებელი. ამ დროს სანდუხაძე ყველა მუშაკის თანაბრად დატვირთვას ვერ ახერხებს. უარჩენია თვითონ იკისროს ხოლმე სხვისი საქმეც. მაგალითად, სხვის ნაცვლად მიუჯდეს სახაზავ დფას. კი, ხელმძღვანელობის პრინციპია უპირველესად თავად იყოს მაგალითის მიმცემი, მაგრამ იგივე პრინციპები, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ორგანიზატორული ჩვევების გამომუშავებასაც მოითხოვს, რაც მიც ბევრ სხვა რამესთან ერთად თითოეული. მუშაკის თავის ადგილზე მაქსიმალური უკეგებით გამოყენებაც იგულისხმება, ისე რომ იქცეოდეს, ნ. სანდუხაძეს მეტი დრო დარჩებოდა საერთო ხელმძღვანელობისა და ახალგზრდა კადრებთან მუშაობისათვის.

"ბორშანდელ კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ ნ. სანდუხაძეს საკმაო აუოროდებას არ უთმობს ქარხნის ისეთ პრობლემებს, როგორიც არის ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის მისაბმელის საკონსტრუქტორო ზედამხედველობა. განყოფილებაში მოისუსტებს ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის, უწინარეს ყოველისა, ეს ითქმის ნახევარმისამქლებზე. საკმოო მან ფართოდ გაშალოს მუშაობა ამკრეკ-ჩამბარებელ კორპუსში ამკრებთა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა ყველიფაციის ასამაღლებლად, უნდა შექმნას შეურიგებელი ატმოსფერო საწარმოო წესის გამოშვების ყველა ფაქტის ირგვლივ, თავად ხელმძღვანელი უფრო მეტად უნდა რეაგირებდეს ყოველ წარუმატებლობაზე და „არაფერი ვიცი, არფერი გამიგია" პრინციპი, რასაც არცთუ იშვიათად მიმართავს, საბოლოოდ უნდა დავიწყოსო.

გამოცდილ კომუნისტს ამ ეპიტეტება ატეტურად არ იყოს ჩაბმული სამმართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ. პირადი ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს საწარმოს ინტერესებს, მუდამ უნდა! ახსოვდეს, რომ მისი საქმითაა მაგალითია კოლექტივის წევრების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისათვის.

თანამოსაქმეთ თურმე არაფერი გამორჩენილა მისი დახასიათების შედგენისას, ისიც კი, რომ ცოლშვილთან ერთად კინოში არ დადის.

• • •

ᲛᲘᲡ შემდეგ გაიარა გარკვეული მა ხანმა. ცხოვრება გრძელდება, ლო მოენახა თანამშრომლოთა შორის დავალებათა განაწილების ოპტიმალური. ვარიანტი, გაძლიერა კონტროლი და მომთხოვნელობა მიეცემელ დავალებათა შესრულებისადმი. განყოფილებამი შეიმუშავეს მუშაკთა პრემირების ახალი ფორმა, რომელიც მნიშვნელოვნად ამაღლებს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს და მინიმუმამდე შეამცირებს დროის დანაკარგებს. გეგეთის ნახევარნამსამყლების ქარხანაში და საერთოდ ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომანქანის წარმოებისადმი საავტორო ზედამხედველობა არადამაკმაყოფილებელი და არაორგანიზებული იყო, ამჟამად სურათი რადიკალურად შეცვლილია — ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანმა საკითხმა წინა პლანზე წამოწია.

ღია პარტიული კრების შემდეგ ნ. სანდუხაძის პირადი ინიციატივით ორღერძა ნახევარმისამყლები გადაკეთდა ერთღერძად ისე, რომ არ შეცვლილა მისი ტვირთამწეობა, ტექნიკური მოთხოვნები, ბიროქით, პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა. ამ საქმეში მან ფაროდ ჩაიბა ახალგაზრდა სპეციალისტები. მნიშვნელოვნად გაძლიერდა საგამმგრნელო და რაციონალიზატორული საქმიანობა. ბოლო ხანს აქ შეიმუშავეს და დასანერგავად მზად არის ორი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა პირობითი ეფექტი 1650 მანეთი იქნება. ნ. სანდუხაძე უკვე პირადად შეფობს სამმართველოს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადას.

"მარშან ნ. სანდუხაძეს ღია პარტიულმა კრებამ უსაყვედურა, რომ სახალხო რაზმელთა საქმიანობას არაკონსრეტულად ან ზერელედ ხელმძღვანელობს, ეს საქმეც გამოსწორდა, სამმართველოს სახალხო რაზმელები ამჟამად ერთ-ერთი მოწინავეები არიან ქარხანაში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში. კრებაზე ამ საზოგადოებრივი დავალებისა, იგი პირნათლად ასრულებს პერიოდულ პარტიულ დავალებებს, აქტიურად მონაწილეობს პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობაში. ერთი სიტყვით, კომუნისტ ნ. სანდუხაძის საქმიანობა კოლექტივში მისაბაძი გახდა და ამას მისი თანამოსაქმეები ნათლად გრძნობენ.

• • •

ᲩᲐᲕᲔ მიერ მოთხრობილი იმ სასაამოვნო შემთხვევათა რიგს განეკუთვნება, როდესაც კომუნისტი უურად იღებს თანამოსაქმეთა საქმის შენიშვნებს და შემდგომ მუშაობაში ყოველნაირად ცდილობს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. ამგვარ შემთხვევებში შეიძლება თქვას, რომ კრება ამარცლებს თავის დანიშნულებას, აღწევს მიზანს და ეს კონკრეტულ საქმიანობაში პოულობს გამოხატულებას. ყოველგვარი წამოწყების საბოლოო დანიშნულებაც ხომ სწორედ ეს არის.

დ. ᲒᲝᲯᲝᲚᲘᲫᲔ,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ᲛᲘᲖᲜᲘᲗ: ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ

ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐᲜᲘ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო ქტივის კრებამ განიხილა აჭარის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე გამართულ საკავშირო თათბირზე ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის აჭარის სალოქო კომიტეტის მეორე მდივნის გ. ე. ჩიგოგიძის მოხსენებამ, ორტაროთა გამოსვლებმა გვიჩვენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მართვის სრულყოფის, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების უზრუნველყოფის საქმეში. ამ მიმართულებით მთელ მუშაობას წარმატებით აკოორდინირებს და წარმართავს პარტიის სალოქო კომიტეტთან არსებული მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭო.

აჭარის ყოველ შესამე საბრეწველო საწარმოში ამჟამად მიმდინარეობს ძირეული რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოები. მეთერთმეტე ხუთწლედის ოთხ წელიწადში დაინერგა 55-ზე მეტი ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზი, დაიდგა ათობით პროგრამული მართვის ჩარხი. ხორცეულდება ეფექტიანი ღონისძიებანი აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

ამასთან ერთად კრებამ აღნიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება დღის მოთხოვნებს. ცალკეულ საწარმოებში, მაგალითად, როგორიც არის ბათუმის მექანიკური ქარხანა, საწარმოო ფონდების ძირითადი ნაწილი მორალურად მოძველდა. ამ საწარმოებში ნელა ინერგება საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, არ გამოიყენ ნ ე ბ ა შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები. წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები დაგეგმვისა და მართვის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესების, საგამმგრნელო და რაციონალიზატორული მუშაობის მასმასრეობის უზრუნველყოფის შესახებ.

აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, დაამტკიცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების, წარმოებაში მეცნიერების ინტეგრაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ თუ არა პრესტიჟული და არაპრესტიჟული პროფესიები? გვინდა თუ არ გვინდა, კარგი თუ ცუდი, თითქმის ყოველ ჩვენგანს საკუთარი, სამწუხაროდ, ერთობანეთისაგან განსხვავებული აზრი გვაქვს ამ საკითხზე.

ერთნი იტკივნიან, რომ პრესტიჟული ცნება ფაქტია; მეორენი — კატეგორიულად უარყოფენ ამ თვალსაზრისს, რომელი ბალანსია სწორი? როგორია საკვირველიც უნდა იყოს, ორივე მხარე. ნებისმიერი პრესტიჟული პროფესია არაპრესტიჟულად იქცევა, თუკი მას ცუდი შემრულებელი ეყოლება. და პირუკუ, ნებისმიერი ეგრეთ წოდებული „არაპრესტიჟული პროფესია" ნიჭიერი, უნარიანი და პრინციპული პიროვნების შესრულებით პრესტიჟული, საამაყო და გამოსაჩენი ხდება. ისე კი, რაღა თქმა უნდა, პროფესიების პრესტიჟულობაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით, უადგილოა. ყველა პროფესია საჭირო, ყველა პროფესიას ადამიანთა შორის ეზიდავთ იმას, უორმლისოდაც სოფელ-ქალაქია, ჩვენი საერთო საქმე ბევრს დაკარგავდა.

თუმცა, არც იმის უარყოფა იქნება, რომ ამ საკითხს მიზეზთა და მიზეზთა გამო მაინც გააჩნია დიფერენციაციის გარკვეული დონე: ჯერ კიდევ გვჰფდება პრაქტიკაში (ასე კი არ უნდა იყოს) მეტ-ნაკლებად პრესტიჟული პროფესიები. ამ მოვლენას ყურადღებით ჩვენგან სწავლულები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, სამეურნეო დარგის სპეციალისტები, ვინაიდან მას სადღეისოდ და უფრო სამერმისოდ თვალსაჩინო სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ეს საქმე საქართველოშიც და კავშირის მასშტაბითაც ჯერჯერობით მხოლოდ ფეხს იდგამს. ამიტომ დიდად საგულისხმოა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური რმა კომიტეტმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრს დაავალა მეტალურგიისა და მეშახტის პროფესიის პრესტიჟულობის საკითხის შესწავლა-ანალიზი.

კვლევის პროგრამა თანამიმდევრულად მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის თითქმის ყველა ეტაპს. გარდა ანკეტური გამოკვლევისა, მოეგზავნეთ ტელეინტერვიუები, რომელთა შედეგებს ვრცელი კომენტარები მიუძღვნეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მუშაკებმა და ზემოხსენებული დარგების წარმომადგენლებმა. დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მეტალურგის პროფესიის პრესტიჟულობის საკითხი მოსწავლეთა და სტუდენტებს შორის განმეორებით შეეხსწავლეთ. ხელმეორედ მოეწყობა კვლევა შეშახტეებისათვისაც.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეედგა მეშახტეებისა და მეტალურგების საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესების იდეოლოგიური უზრუნველყოფის გეგმები, რომლებშიც ფასახულ ღონისძიებებს წარმატებით ახორციელებენ რესპუბლიკის იდეოლოგიური ინსტიტუტები სჰქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ეტაპზე ძირითადი აქცენტი გადატანილია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ელემენტებზე. ამ მხრივ განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი: პრესა, რადიო და ტელევიზია.

კვლევის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს წარმოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომლის შესადგენად სამეწარმეს ხელმძღვანელის საფუძველზე ასრულებს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის მონაწილეობით. აღნიშნულ ეტაპზე, სხვა საკითხებთან ერთად, გვეკნება სოციალური პროგნოზირების ზოგიერთი ელემენტიც. ამით პროფესიის პრესტიჟის ამაღლების მთელი ღონისძიებები ჩამოყალიბდება ერთიან სისტემად.

არცთუ ისე შორეულ წარსულში მეშახტისა და მეტალურგის პროფესია ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრესტიჟულ და, გარკვეულწილად, „პრივილეგებულ" პროფესიადაც კი ითვლებოდა, და ეს არც არის გასაკვირი; ამ პროფესიის წარმომადგენლები ჩვენ მრეწველობის „ბუნს" მოიპოვებენ და მის „გულსა" სკვდენ. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხს პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან მეშახტეები და მეტალურგები ტრადიციულად მუშათა კლასის ყველაზე მოწინავე რიგებს წარმოადგენენ.

მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში, ზემოხსენებული პროფესიების პრესტიჟი საგრძნობლად დაქვეითდა. ეს მეტად სამწუხარო ფაქტი განპირობებულია რავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზით. უწინარეს ყოვლისა, იგი გამოწვეულია თვით მეტალურგიული და ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოების არასტაბილური მუშაობით, რაც მეტად პრინციპული მსჯელობის საგანი გახდა ამ საკითხებისადმი სპეციალურად მიძღვნილ სამეფნო აქტივის კრებებზე. განსაკუთრებით დაბალია აღნიშნული დარგების ტექნიკური აღჭურვილობის დონე, დიდია ხელის შრომის ხვედრითი წილი. შრომის საკმაოდ მძიმე პირობებში მცირეა მატერიალური სტიმულირება და ა. შ. ყოველივე ამან წარმოქმნა სიძნელეები, საგრძნობლად იმატა კადრების დენადობამ, რაც პროფესიის პრესტიჟის დაქვეითების ერთ-ერთი უპირველესი ნიშანია.

ბევრს მიაჩნია, რომ აქ გადამწყვეტი პრობლემა ხელფასია. რა თქმა უნდა, მატერიალური ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა უმუშევრობის საკითხს. ეს, უპირველესად, ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში მოწონაა მეჩიაიების, მუვენახეობისა და ზეინკლების გვეფდით ინდეთამდ ვეფდებოდით მეტალურგსა და მეშახტეს. ამას კი მეტად მტკივნეულად აღიქვამდნენ ამ ვაჟკაცური პროფესიების ადამიანები. ეაქაცებს ხომ თავმოყვარეობაც განსაკუთრებული აქვთ. ამის შესახებ სატელევიზიო სტუდია „დიალოგში" კარგად თქვა საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის რაიკომის პირველმა მდივანმა კონსტანტინე სალიამ: „მეშახტის პროფესიას არ სჭირდება რეკლამა და შელამაზება. საჭიროა უბრალოდ ფოტოგრაფიული სიზუსტით ვაჩვენოთ ის, რაც არის სინამდვილეში, ეს ყველაზე კარგი პრობაგანდისტული ხერხი იქნება აღნიშნულ შემთხვევაში". და ეს მართლაც ასეა, ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ მეშახტისა და მეტალურგის პროფესია საკმაოდ მძიმე შრომას უკავშირდება, აღნიშნული პროფესიის ადამიანს ცხოვრებაში ბევრი სირთულე შეხვდება, მაგრამ ისიც უნდა იცოდნენ, რომ მათი პროფესია ყველაზე ვაჟკაცურია, რომ მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გვეფდით ეყოლებათ ულოანტა ადამიანები, რომ მათი პროფესია განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობისა და ეს მათ დროდადრო კი არ უნდა შევახსენოთ, არამედ ამას შუადამეშიც უნდა ვრძნობდნენ ინანი როგორც მორალურად, ისე მატერიალურად.

სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მეშახტეთა და მეტალურგთა საწარმოო მაჩვენებლების გაუმჯობესების იდეოლოგიური უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული მუშაობა. ჩვენი იდეოლოგიური და სამეურნეო საქმიანობის ერთობლივი კომპლექსური მუშაობის შედეგად დროის შედარებით მცირე მონაკვეთში უკვე შეიმჩნევა პროფესიის პრესტიჟის ამაღლების პირველი სიმპტომები და, რაც მთავარია, პრესტიჟამ გვიჩვენა, რომ თუ საქმეს ცოდნით და მონდომებით მიეკარ ( ) ( ) ( )

ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝ

„ᲓᲐᲡᲐᲕᲔᲚᲘᲡᲘ“ და „ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲔᲚᲘᲡᲘ“ აწარმოებენ აქტიურ დაზვერვას, მეთაურები და შტაბები აზუსტებენ ამოცანებს, ამუშავებენ თანამოქმედებას, პოლიტორგანოები დიდ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან.

საქინფორმის კორესპონდენტები იუწყნენ ერთ-ერთი ქვეგანაყოფის პარტიულ კრებაზე. კომუნისტები მკაცრად, მომზადებულად ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ საჭიროა ყველა სულგრძელ-საბრძოლო ამოცანა მხოლოდ „ფრიადზე“ შეასრულონ. ამ ნაწილის მეომრებს კი მისაბაძი ჰყავთ, ვისაც მხარი უნდა უსწორონ. დიდი სამამულო ომის წლებში ამ ნაწილმა აღზარდა სამი საბჭოთა კავშირის გმირი, მათ შორის — კაპიტანი გ. შენგელია და უფროსი ლეიტენანტი გ. ბახტაძე. დღეს მეომართა შორის არიან გმირთა თანამემამულენი — რიგითები ხ. ადიამვილი და რ. ბერდიაშვილი. ისინი სამთო მოშზადების ნამდვილი ოსტატები, სოციალისტური შეჯიბრების ლიდერებია.

— ეჩვს არ იწვევს, რომ ჯარებში მიმდინარე დიდი, გულმოდგინე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა თავის დადებითს ნაყოფს გამოიღებს, — თქვა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა— პოლტავა შინ ვეღარ დაბრუნდა. აქ აღმორთული მემორიალის ზარებთან, რომელსაც პატივს მიაგებს მთელი საქართველო, მეომრებს უამბეს, თუ რა ზეალი შეიტანა რესპუბლიკამ გერმანიის ფაშიზზე გამარჯვებაში.

„დასავლელები“ და „აღმოსავლელები“ ამთავრებენ აქტიური საწვრთნელ-საბრძოლო მოქმედებისათვის მზადებას.

წვრთნის რაიონი, 17 ივლისი.

ᲗᲔᲠᲔᲖᲘᲜᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲩᲙᲘ,
საქინფორმის სპეც. კორ.

* * *

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ჯარების წვრთნა „კავკასია-85“. წვრთნის რაიონში ჩამოვედნენ 1975 წელს ჰელსინკში გამართული ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს მეთვალყურენი.

ჩამოსულთა შორის არიან ბელგარეთის სახალხო რესპუბლიკის, ბერძნეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, საბერძნეთის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის მეთვალყურენი.

(საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: შეტევაზე არიან მოტომსროლელები; საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი რიგითი მოტომსროლელი ანდრია ლაფუშინი.

Ა. Მ. ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ

უეცრად გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ პროკურორი, მეორე კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, 1968 წლიდან სკკპ წევრი ანზორ მიხეილის ძე ბარაბაძე.

ა. მ. ბარაბაძე 1938 წელს დაიბადა ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1963 წელს დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი.

ა. მ. ბარაბაძე 1960-1965 წლებში მუშაობდა ქალაქ კრასნოიარსკის ცენტრალური რაიონის მილიციის განყოფილებაში ჯერ მოამზედლედ, შემდეგ საგამოძიებო განყოფილების უფროსად მოადგილედ.

1965 წლიდან ა. მ. ბარაბაძე გადმოდის საქართველოში და იწყებს მუშაობას გამომძიებლად ახალქალაქის სარაიონთაშორისო პროკურატურაში, 1966-დან 1970 წლამდე იგი ბოგდანოვის რაიონის პროკურორია. 1970 წელს ინიშნება საქართველოს სსრ პროკურორის უფროს თანაშემწედ. 1973 წელს — ქალაქ ქუთაისის პროკურორად, ხოლო 1976 წელს — საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1978 წლიდან ა. მ. ბარაბაძე გადაჰყავთ პარტიულ სამუშაოზე — აღმკვიეტენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ. იმავე წელს ა. მ. ბარაბაძე დაინიშნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

ყველა პოსტზე, მუშაობის ყოველ უბანზე ა. მ. ბარაბაძე მტკიცედ და ენერგიულად ეწესებოდა დაბნეულობას ნაფიქრალებს წინააღმდეგ ბრძოლის პასუხსაგებ საქმეში. მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პროკურატურამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

მეთაურობდა რა საქართველოს სსრ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს, ა. მ. ბარაბაძე საქმის ცოდნით უძღვებოდა მის მუშაობას, უშუალოდ მონაწილეობდა რესპუბლიკაში უარყოფითი სოციალური მოვლენების დაძლევისათვის, კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ა. მ. ბარაბაძე, როგორც რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა, გულისხმიერი და ყურადღებიანი იყო ადამიანებისადმი. მან ბევრი რამ გააკეთა ამომრჩეველთა განაწესებულ შესასრულებისათვის.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ა. მ. ბარაბაძის დამსახურება. იგი დაჯილდოებული იყო ხალხთა მეგობრობის ორდენით, მედლით, სამატიო სიგელებით. სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებით იგი დაჯილდოდა „პროკურატურის სამატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით.

ა. მ. ბარაბაძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

**Კ. ᲠᲐᲪᲘᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲒᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲖ. ᲒᲘᲚᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲖ. ᲚᲔ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲨᲐᲠᲘᲞᲝᲕᲘ, ᲒᲘ. ᲞᲐᲞᲐᲫᲔ, Ა. ᲐᲜᲓᲠᲘᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲨᲐ. ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘ. ᲐᲠᲐᲑᲘᲫᲔ, ᲒᲘ. ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘ, ᲒᲘ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ

„ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ...

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ 15-16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ „ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲤᲘᲠᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ“ — ᲡᲐᲜᲘᲜᲝᲠᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ. ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲜᲔᲜ ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲔᲑᲘ, ᲒᲘᲜᲐᲠᲘ ᲤᲘᲠᲛᲘᲡ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲨᲘᲡ, ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲕᲜᲝ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛ